სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2021 წლის 9 ივნისის №81/01–01 ბრძანებისა** და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2021 წლის 9 ივნისის №81/01–01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2021 წლის 12 ივლისის №56/2021 დადგენილების** მე–3 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) № 3

ქ. თბილისი 23 ივლისი, 2021 წელი
10:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის 1) მანანა ხაჩიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე), 2) ბიძინა მიდოდაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3) ნათელა არჩვაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი), 4) თეიმურაზ მანჯაფარაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 5) რევაზ ქურდიანი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. **მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ მანანა ხაჩიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტ გვანცა წულაიას შეფასების ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ შეფასების პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4).

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა: გვანცა წულაიამ.

შეფასების პირველ ეტაპზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტის შეფასებაა „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“, რადგან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“, ვინაიდან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება და სასწავლო–მეთოდური საქმიანობა ვაკანსიის პროფილის შესაბამისია, წარმოდგენილი სილაბუსების ფორმა და შინაარსი შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს, მის მიერ წაკითხული კურსები შედის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის (სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა) ორივე პუნქტში კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა გ.წულაიამ მიიღო შეფასება „მაღალი“. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს სტატია იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალში (1), მაღალი დონის რეცენზირებად ჟურნალებში (9), საკონფერენციო მასალები, ელექტრონულ არქივში e-print; გაკეთებული აქვს მოხსენებები ადგილობრივ კონფერენსიებზე (4), მონაწილეობს საგრანტო პროექტებში (5).

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად გ.წულაიას მიერ წარმოდგენილი გამოქვეყნებული ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო შრომა. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია მისი გამოცდილება, სამეცნიერო კვლევების მიმართულებები და მომავალი პერსპექტივები.

IV კატეგორიის (სხვა სახის აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტის შეფასებაა „მაღალი“.

გვანცა წულაია არის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (სტუდენტი ექსპერტი); ჩაბარებული აქვს მაიკროსოფტის სასერტიფიკატო გამოცდები (2), ფლობს კომპიუტერული პროგრამების ფართო სპექტრს; უცხო ენებიდან თავისუფლად რუსულს და ინგლისურს.

ამრიგად, კონკურსანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავი პასუხები გასცა. გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი გ.წულაია სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიული უნარ–ჩვევებით, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით,

დისკუსიაში ჩართულობის უნარით სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე არსებული ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) ვაკანტურ თანამდებობასთან.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. საკონკურსო კომისიამ ერთხმად (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი გვანცა წულაიას კანდიდატურას.

2. **მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, მანანა ხაჩიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტ მ.არჩუაძის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ შეფასების პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4).

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა: მაია არჩუაძემ.

შეფასების პირველ ეტაპზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე:

I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტის შეფასებაა „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“, რადგან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“, ვინაიდან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება და სასწავლო–მეთოდური საქმიანობა ვაკანსიის პროფილის შესაბამისია, წარმოდგენილი სილაბუსების ფორმა და შინაარსი შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს, მის მიერ წაკითხული კურსები შედის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III. კატეგორიის (სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა) ორივე პუნქტში კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მ.არჩუაძემ მიიღო შეფასება „მაღალი“. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს სტატია იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალში (1), მაღალი დონის რეცენზირებად ჟურნალებში (16), საკონფერენციო მასალები, ელექტრონულ არქივში e-print; გაკეთებული აქვს მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენსიებზე (3). საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად მ.არჩუაძის მიერ წარმოდგენილი გამოქვეყნებული ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი სამეცნიერო შრომა. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია მისი გამოცდილება, სამეცნიერო კვლევების მიმართულებები და მომავალი პერსპექტივები.

IV კატეგორიის (სხვა სახის აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტის შეფასებაა „მაღალი“.

მ.არჩუაძე არის სამაგისტრო ნაშრომებისა და ჯგუფური პროექტების ხელმძღვანელი;

ამრიგად, კონკურსანტ მ.არჩუაძეს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავი პასუხები გასცა. გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი მ.არჩუაძე სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიული უნარ–ჩვევებით, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, დისკუსიაში ჩართულობის უნარით

სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) ვაკანტურ თანამდებობასთან.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. საკონკურსო კომისიამ ერთხმად (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი მაია არჩუაძეს კანდიდატურას.

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

   კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
   კათედრა – გამოყენებითი ინფორმატიკა

   გვანცა წულაია – ასისტენტ პროფესორი (კატეგორია „ა“) .

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

   კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
   კათედრა – ტექნიკური ინფორმატიკა

   მაია არჩუაძე – ასისტენტ პროფესორი (კატეგორია „ა“) .

კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა: შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მანანა ხაჩიძე (კომისიის თავმჯდომარე)

ბიძინა მიდოდაშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ნათელა არჩვაძე (კომისიის მდივანი)

თეიმურაზ მანჯაფარაშვილი

რევაზ ქურდიანი